ISSN 0132-6015

ნიანგი

17

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 57-ე წელი, (№ 1579). სექტემბერი, 1980, ფასი 20 კაპ.

— ერთი ეს ვაჭბატონი გაიტყუე გარეთ და მერე მე ვიცი, რასაც ვიტყვი მაგაზე!..

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

დიდოსტეფის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ილურიძეს, ამ საქვეყნოდ ცნობილ კაცს ვესაუბრები. იგი იღიმება, იღიმება ფართოდ, მთელი სახით, თვალებით, შუბლით, იღიმება თითქმის ბავშვურად, თითქმის გულუბრყვილოდ, თან უხერხულად წრიალებს სავარძელში.

მე ვეკითხები:

— თქვენ, ბატონო კონსტანტინე, ათივე ხუთწლედის მონაწილე ბრძანდებით, არა?

— **კი, ეგრეა.**

— **რომელი ხუთწლედი იყო ამათგან თქვენთვის განსაკუთრებით გამორჩეული?**

— **ყველა ისე პირველი ხუთწლედი გუშინდელივით მახსოვს. მაშინ ჩემს სოფელში, მეჯვრისხევში, ვიყავი და ვმუშაობდი ახალ შექმნილ არტელში, რომელსაც „წითელი მჭედელი" ერქვა. სახელი მართლაც ზედგამოჭრილი გახლდათ: რკინაც წითელი იყო, გრდემლიც და მჭედელთა სახეებიც.**

— პირველი ლენინის ორდენი როდის მიიღეთ?

— **ჰო, ე მაგის თქმას ვაპირებდი ახლა. 1941 წლის 15 ივნისს, კრემლში თვით მიხეილ კალინინმა გადმომცა იგი. ძალიან კარგი კაცი იყო კალინინი, ალბათ იმიტომაც, რომ ჩვენს ქარხანაში მუშაობდა ადრე. საერთოდ, ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში (ახლა მას ელექტროვაგონშემკეთებელი ჰქვია) სულ კაი ბიჭები მუშაობდნენ. მარტო ისა თქვი, რომ აქ უმუშავია მაქსიმ გორკისა და სხვა გამოჩენილ ადამიანებს.**

მერე ომი დაიწყო. ცოტაც რომ დავრჩენილიყავ მოსკოვში, ჯარისკაცობა არ ამცდებოდა. მერე ვინანე, რატომ ვიჩქარე-მეთქი, არადა, ჯანღონით სავსე კაცი ფრონტზე არ გამიშვეს, აქ გვჭირდებიო.

თქვენ წარმოიდგენთ ასეთ რამეს? — ზოგჯერ ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე დღე-ღამე მიმუშავია შეუსვენებლივ. რაკი ომში არ გამიშვეს, აბა რა მექნა?!

— მჭედლობა არც ისე იოლია. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს საქმე?

— **ბავშვობაში არც კი მიფიქრია მაგაზე. რაღაც ეშმაკად ჩვენი სოფლის სამჭედლოში შევეხეტე ერთხელ. მოხუცმა მჭედელმა ამხედა, დამხედა და სრულიად მოულოდნელად ჩაქუჩი არ შემაჩეჩა ხელში? აი, აქ**

ვანდალები

დაიპყარ და იბატონეო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. დაპყრობაც არის და დაპყრობაც. ალბათ ისტორიას არ ახსოვს ასე ადვილად ციხე ვინმეს დაეპყროს, როგორც ეს **თელავის რაიონის .სოფელ ლალისყურში** მოახერხეს.

რამდენიმე წელია, გვიანფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრის „ბატონ-პატრონი" გამხდარა **ლალისყურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის გაერთიანება,** რომელსაც **კარლო ჭვრიტიძე** ხელმძღვანელობს. ჯერ იყო და, კურდღლის ფერმა ჰქონდათ შიგ მოწყობილი. მერე, ექვსი წელიწადი, ღორები **ულრღნიდნენ** გულმკერდს განაწამებ და მრავალჭირნახულ ციხეს, რომელიც სოფლის ზღურბლზე აღმართულა და დარაჯად ედგა გაღმა-გამოღმა ხეობებსა და სოფლებს. ამ ციხის შესახებ ვახუშტი ამბობს: **„თორღის ციხესთან ერთვის შგორის ხევს სხვა ხევი. მუნ არს ლალისყურის ციხე, მაგრად და ლამაზად ნაშენი".**

მწარე დღეები გამოიარა ციხემ უსულგულო პატრონის ხელში: ჯერ ფარდულები და სხვადასხვა ულაზათო დამხმარე ნაგებობები მიაშენეს, მერე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში, უზარმაზარი ხვრელები გათხარეს, ციხის მთელ სიგრძეზე გაჭრეს საკმაოდ განიერი არხი და წყალი გაუშვეს, რათა პირუტყვს უფრო „კომფორტულად" ეცხოვრა ციხეში!..

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დაჟინებული მოთხოვნით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ღორები გამორეკეს ციხიდან, მაგრამ... ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, რომ იტყვიან, ასე მოხდა: წლების მანძილზე გაპოხიერებული ციხის ტერიტორია საზელდახელოდ მოასწორეს, მერე საპლანტაჟე გუთნით გადახნეს და... ახლა იქ სიმინდის ყანა ბიბინებს და გულს იგრილებს არხში მოჩუხჩუხე ანკარა წყლით.

სიმინდის უხვ მოსავალს ელის, ალბათ, **ჭ ვ რ ი ტ ი ძ ე** 1,5 ჰექტარი ციხის ფართობიდან, მაგრამ ავიწყდება, რომ ციხეს პატრონი ჰყავს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სახით და ასეთი თვითნებობა და სიჯიუტე არ გაუვა! ვინც ძეგლს არ დაიცავს, პასუხს აგებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კანონის წინაშე!

კ. ჭ ვ რ ი ტ ი ძ ე ს არც **რუისპირის კოლმეურნეობის** თავმჯდომარე **აკაკი გერმანიშვილმა** დაუდო ტოლი კულტურის ძეგლების განადგურებაში: XVIII საუკუნის ციხე-სიმაგრეში პირუტყვს დაუდო ბინა და რაც მტრებმა დააკლეს, მან შეუსრულა! — ციტადელის კედლებს შიგნიდან და გარედან, თითქმის ყველა მხრიდან, მიაშენა საქონლის საზამთრო სადგომები და სხვა დამხმარე სათავსები. რამდენიმე ადგილზე (საკმაოდ დიდ ფართობზე) კედლებიც გაანგრია პირუტყვის შესარეკად და გამოსარეკად, საჭმლის ნარჩენებისა და ნაკელის გამოსატანად!.. ასე განადგურდა ეს ისტორიული ციხე!..

ციხის შიდა ტერიტორიაზე შემსვლელს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა მუხლამდე წუმპესა და ნაკელში არ ჩაიძიროს. ციხის ცენტრალური ნაწილისათვის მკერდი გაუპიათ და 5-6 მეტრის სიგანის ღრმა თხრილი გაუჭრიათ მთელ გადაკვეთაზე. აქედან გააქვთ ნაკელი, საჭმლის ნარჩენები და...



კონსტანტინეს მარჯვენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკარიო, მითხრა. მეც ავდექი და დავკარი. გავარვარებული რკინა დარტყმისას ჩინჩხლებს ჰყრიდა, ძალიან მომეწონა ეს, მეორედაც მივედი, მესამედაც და, როგორც ხედავთ, ახლაც მჭედელი ვარ.

— ალბათ ძალიან იღლებით, არა?

— კი, ვიღლები, ზოგჯერ არაქათგამოცლილი მოვიდივარ შინ. ძნელია რკინასთან ჭიდილი. მით უმეტეს, ჩემს ასაკში, მაგრამ რა ვქნა, მიყვარს ეს ოხერი, ძალიან მიყვარს! როცა უზარმაზარ რკინას სასურველ ფორმას მისცემ, ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს?! და მე ველოდები ამ სიხარულს ყოველდღიურად, მე ამ სიხარულით ვცოცხლობ!

— შინ რას აკეთებთ? ასე გადაღლილი თუ მიდიხართ, ცხადია, უნდა დაისვენოთ!

— თქვენ დასვენებას რას ეძახით?

— დაღლილი კაცი უნდა წამოწვეს და ცოტა წაიძინოს კიდეც.

— არა, მე წამოწოლისა და წაძინების უფლება არა მაქვს: ხან შვილიშვილები შემომეხვევიან, თუ მათ გადავურჩი, გაზეთები ხომ უნდა გადავიკითხო, ტელევიზორს ხომ უნდა ვუყურო?! ამაზე მეტი დასვენება რა გინდათ?! მე და ათასობით ჩემისთანა მჭედელმა, თუ ზეინკალმა სამუშაოს შემდეგ თავი ლოგინში წავრგეთ, „ნიანგი“ ვიღამ იკითხოს?

— რაკი „ნიანგის“ მკითხველი ბრძანებულხართ, იმასაც გკითხავთ, ხუმრობა გიყვართ თუ არა?

— ძალიან. მეცოდება კაცი, ვისაც ხუმრობა არ შეუძლია!

— თქვენ 50 წელიწადია ურო ხელიდან არ გაგიგდიათ, თუ გიანგარიშიათ, რამდენი რკინა გამოგიჭედიათ ამ ხნის მანძილზე?

— არა, არ მიანგარიშია. ეს რომ იანგარიშოს კაცმა, უნდა აწონოს პირველი ხუთწლედიდან დღემდე აქ შეკეთებული ვაგონები, ორთქმავლები და მიღებული ჯამიდან გამოვიდეს ჩემი გამოჭედილი დეტალების წონა.

მე მგონია, არაფერი გამოვა.

ვნახოთ, მეორედ რომ მოხვალთ, შეიძლება ზუსტი ციფრი დაგახვედროთ, ახლა კი იმას გეტყვით, რომ ამ ორმოცდაათ წელიწადში რამდენიმე ათასი ტონა მექნება გამოჭედილი...

— კარგა სანია თქვენ პენსიაზე ხართ და მაინც მუშაობთ, ბოლოს და ბოლოს, როდის გახვალთ ნამდვილ პენსიაზე?

— ვფიქრობდი, 50 წელიწადი მიმუშავია, ახლა დავისვენებ-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ორი დღე ვერ გავძელი შინ. იქნებ არც კი დამიჯეროთ, ავადაც კი გავხდი კაცო! ავადმყოფობას ისევ მჭედლობა მირჩევნია-მეთქი. ლაპარაკი მაინცდამაინც არ მეხერხება, თორემ უარესებსაც გეტყოდით. აი ჩაქუჩსა და უროს რომ ვხმარობ, ისე სიტყვა რომ მემორჩილებოდეს...

— თქვენ ცნობილი კაცი ბრძანდებით მთელს რესპუბლიკაში, იმდენი ჯილდო და წოდება გაქვთ, ალბათ, ზოგჯერ თქვენ თვითონვე გერევათ: ხართ სოციალისტური შრომის გმირი, ორგზის ლენინის ორდენოსანი, პარტიის XIX ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი. ხომ არაფერი გამომრჩა?

— კი. მე თბილისის საპატიო მოქალაქეცა ვარ. შარშან თბილის-ქალაქობაზე მომანიჭეს ეს წოდება. ვენაცვალე მე იმ ზეიმის მომწყობსა!

— ქარხანაში რომ მოდიოდით, ხომ არ ფიქრობდით წინსვლაზე, დაწინაურებაზე, თანამდებობაზე?

— მეტი დაწინაურება და წინსვლა რაღა გინდათ?! თანამდებობაზე კი არასოდეს მიფიქრია მე მჭედელი ვიყავი, მჭედელი ვარ, და თუ ღმერთმა დამაცალა, მჭედლად დავრჩები!

ამას წინათ კი, ალბათ, გახსოვთ, რანაირი იუბილე მომიწყვეს ფილარმონიის დიდ დარბაზში!.. მართალია, „ნიანგის“ კორესპონდენტს ვესაუბრები, მაგრამ, როგორც ხედავთ, ცრემლს მაინც ვერა ვმალავ. რად უნდა დავმალო? ეს ცრემლი ათას, ათი ათას სიხარულს აღემატება! მუშაკაცის ამაზე მეტი დაფასება რაღა იქნება?!

მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ეს დღე მომილოცა. მადლობელი ვარ პარტიისა და ხალხის, რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა!

— ათი ხუთწლედი ხომ პირნათლად გაისტუმრეთ?! აწი რას აპირებთ?

— ვიცი, რაც უნდა გეთქვათ თქვენ: მართალია, 70 წლისა ვარ, მაგრამ მეთერთმეტე ხუთწლედს მაინც დავკეცამ!.. მერე კი ვნახოთ, მეთერთმეტეს ხომ მეთორმეტეც უნდა მოჰყვეს?!.

დოდოსტატს ესაუბრა ივერი ტაბიძე.

ამიხსნათ იქნებ!..

მოქალაქენო, თქვენ მოგმართავთ, ამიხსნათ იქნებ:
რა შეიძინა ვინაც თავი მიანდო ფიქრებს?!

განა არა სჯობს, შენთვის წყნარად რომ იმსახურო,
ზედმეტი ფიქრით თავის ტვინი არ გაიხურო?!

წაიმუშავე? — რაღას უცდი? — ადექი, წადი,
სუფრას მიუჯექ, შესვი ღვინო, მიირთვი მწვადი!

ან, თუ არადა, გამოშანსე ორი ბილეთი,
თუ აღინიშნა ის დღე რამე იუბილეთი!

მაშინაც გინდა, ნებიერო, ბილეთი ორი,
თუ ჩამოვიდა ვინმე დიდი ვასტროლიორი!..

ასეც მოვიქეცი: მე და თინა, ამას წინაზე,
მესამე რიგში ვნებივრობდით ზოგის ჯინაზე!

სცენაზე იყო ვიღაც ლექსო, გვარად ფრინდლიხი,
დაპაკუნობდა მოკლე შარვლით, სიცილ-ხითხითით.

რაზე უკრავდნენ ტაშს, მე მაინც ვერა გავიგე!
ნუ გამაგიჟებ, გეკედრები, არსთა გამრიგევ!

ამაზე კიდევ აღარაფერს იტყოდა კაცი,
თუ საგასტროლოდ აღარავინ ჩამოვა აწი!

თუკი ჩამოვლენ და ბილეთის გაჭირდა შოვნა,
ფილარმონიის დირექტორთან მექნება თხოვნა:

ხომ მაინც მოვალ, ხომ ვიქნები დარბაზში აქ მე,
ჯანდაბას, სხვებმა იხითხითონ, სხვებმა იცინონ,

მე ფართო, რბილი სავარძელი ჩამიდგით სადმე,
რომ ერთი მაგრად, ეშხიანად გამოვიძინო!

ლერი ჩანტლაძე



თურდოს ხეობის წყალს აბინძურებენ. ამაზე დუმს რაიონის ხელმძღვანელობა, დუმს სოფლის აქტივიც!.. როდემდის?!

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს რესპუბლიკურმა ინსპექციამ, როგორც იქნა, საწადელს მიაღწია თითქოს: გაზაფხულზე საქონელი ჩამოაშორეს ციხეს, ზედმეტი მინაშენებიც ნაწილობრივ მოანგარიეს, ტერიტორიაც სანახევროდ გაასუფთავეს, მცველიც მიუჩინეს, მაგრამ... მაისის შუა რიცხვებიდან საქონელი კვლავ ესტუმრა ციხეს საზაფხულო სააგარაკოდ და ისევ დაიწყო ძველი ისტორია!..

საინტერესოა, როგორ ითმენენ ასეთ მდგომარეობას **ფშაველისა** და **რუისპირის სახალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები,** რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 9 იანვრის № 13 დადგენილებით უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი ძეგლების მოვლა-დაცვისათვის?! რატომ დუმან ამ ბარბაროსული საქციელის მაყურებელნი და ხმას არ იმაღლებენ ასეთი უმსგავსოების აღსაკვეთად?!

სწორედ ამაზეა ნათქვამი, **მგერი იმდენს ვერას ავნებს, რასცა კაცი თავსა ივნებსო!**

ივანე ჯავახიშვილი,
ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის უფროსი.

გავუ-ფრთხილდეთ!

ზღაპრულია საქართველო — მთებით, ზღვებით, ველებით.
სილამაზით, სინატიფით, — სამოთხეს რომ ვეკიბრებით,
ზეცა — სხივით დაკარგული, მიწა — სავსე ბარაქითა,
მოხახსნეს სოფლითია და მოეცლავრე ქალაქითა!
ტკბეველიც კი არსად არის მიწა, ოფლის დაუღვრელი,
ხალხი — მუდამ მშრომელი და ხალხი — მუდამ დაულელი!
ვშრომობდით და ვაშენებდით, ვერ გვაკლებდა ვერას ტერი,
ყველა ველზე ცოხე დადგდით, ყველა მთაზე — მონასტერი!
რაც შეგვეძლო, აქვე ვქმნიდით, ვანა სადმე წავიდოდა?!
ბერო მშენებელს ჭალვაიც მოკრეს: „რატომ კარგი აგიგია?!“
მაინც ბევრი კოშკია და ტაძარია მშვენებებად!
სახელიც არ დაგვტოვეს დიდებულმა მშენებლებმა!
ოუმცა ღამე უტეხიათ, — მოხატეს და ააშენეს.
ძვირფას ფრესკებს და ჩუქურთმებს მათი გვარიც არ ამშვენებს
იმ დიდებულ წინაპრების მოგონება დაგვეკარგა.
სახელებიც დაგვეკარგა, საფლავებიც დაგვეკარგა!..

●

მონასტრის ბაღში შევედით, ვარდებით დფარულიყო,
ბრავალი ვნახეთ — საფლავზე ძეგლები ამართულიყო.
ოვითონ მონასტრის მშენებლის სახელიც დაკარგულიყო,
ოვალი ცრემლებით აგვევსო — სადა ხარ, ჩემო სულიკო?!.
დიდ ბარაკონზე ავედით, კლდეზე რომ გადასულიყო,
ნახავ, ანაგებს არა ჭგავს, ასე გგონია, სულ იყო.
ბხოლდ მშენებლის სახელი ფკვალოდ მიფარულიყო,
დავდიოდით და ვეძებდით: სადა ხარ, ჩემო სულიკო?!.
ვიპოვეთ, რასაც ვეძებდით, ოუმცა არ დაკარგულიყო.
ყველაზე ლამაზ ჩუქურთმას ტუშით ეწერა — „ს ულ ი კ ო“.
ხუფთა შუბლი აქვს ალავერდს, ფერად ბულბულის ბუდისო,
„ალოშა ალიოკ თამარა“, — ეწერა. — ლუბოვს უდრისო“.
რა გავიხსენებ სანახავს, ბოლმი ეკლამდე ვივსები,
ელათში შიშველ ანგელოზს ზედ მიახატეს ჯინსები!..
ხვეტიცხოველეზე მიჩხანეს, (ლამის ატირდნენ ქკანა!) —
„აქ საქეიფოდ ვიკვეთი ლეი, ქეთინო, ვანია“.
რვა საუკუნის ფილაქნებს სულ სული ამოსწვადეს,
წმინდა გორგის ტაძარში მოვრალები წვავდნენ მწვადებსა!..
ოცქირებიან ფრესკები დანით დათხრილი ოვალითა,
მიხვალ და სისხლი გემდერეკ: მჩხანელ-მჭიდანელთა კვალითა!
ბტრის ურდოსაგან დაგვიცვა. ზე კალთა გადაგვახურა.
ნარიეალამ და იეალთომ, ნიკორწმინდამ და ხახუოლმა!..
გორი, ღრუბლეებში აჭრილი, მოჰგავდა ფალავანსაო,
დღესაც მტრის სისხლი აცია ბატრიონ-ბალავანსაო!
მერე რა? — მტერზე შემართულს ახლა მოუვარე ღალატობს,
ბაგრატის ციხის ნანგრევით თავლა ააგო ღალავამ!..
ღმანინის ციხე-კოშკებით კერძო სახლები აშენეს!..
ორი ათას წლის ჩუქურთმა „ეფიგუალის“ გარაუს ამშვენებს!..

●

ჩვენი მამულის დიდება უნდა ვახსენოთ რიდით, —
დიდი დავითის საფლავი, დიდი თამარის ხიდი!
ბეშვიდე ცაში ასული, ჩკერდზე რომ ნისლები იხვევს,
ტრეკლეს ეკლესიები, ვახტანგ გორგასლის ციხე!
ბსოფლიოს საოცრებაა (როდი გიამბობთ ზღაპარს!)
ჩვენმა პეპერამ ააგო, ჩვენმა მშრომელმა ალამ!
ჩვენ გავფფრთხილდეთ მარნეა, რაც გულში შუქად გვიდევს —
მამა-პაპათა ნაშენებ ტაძრებს, ციხეებს, ხიდებს!

ვახტანგ გოგოლაშვილი

ლვთისნიერი კაცი

მუზარანის ვ ა კ ი ს ერთ დიდ სოფელში ორასწლიანი კაკალი მოჭრეს მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე კოლმეურნეობის კანტორის ფანჯარას სინათლეს აკლებდა!..

წავედი, ვნახე კანტორა. შორიახლო კაკლის დიდი ძირკვი ჩანდა. კანტორაში არავინ იყო. ერთ 12-13 წლის ბიჭს ვკითხე:

— კაკალი სადღაა-მეთქი?

— ნარეკვავის ნაპირზე გდია, იქ გაათრიეს.

წამომყვა, ვნახეთ, შესანიშნავი კოჭრილი ძირი ყოფილა. ზროზე ნასანოლარები აჩნდა. ვიკითხე, მიპასუხეს:

— ჩვენი მოხუცები წმინდა ხედ თვლიდნენ და სანოლებს ანთებდნენო. მოჭრილ ხეს სურათები გადავუღე.

ამასობაში ჩემს ირგვლივ უკვე მრავალად ხალხი შეკრებილიყო: ბავშვები, ქალები, რამდენიმე ვოკაცი, ვიღაც მოხუცმა ქალმა გაარღვია წრე.

— მაჩვენეთ ეგ ღვთისნიერი კაცი, ვინც ჩვენს კაკალს გამოექომაგა!. ვხედავ, ხელში ცვილის სანთელი უჭირავს.

— ძლივას არა გნახე ქრისტიანი კაცი?! აი, შვილო, ამ სანთლებს შენს სახელზე დავანთებთ!..

ამ დროს წინ წამოდგა ერთი ახალმოსული.

— სწორედ მაგიტომ მოვჭერით, რელიგიური ცრუმორწმუნეობა უნდა მოგვესპოო!

გამეცინა. მეურნეობის დირექტორი აღმოჩნდა, შემდეგ გავიგე — საკმაოდ ყოჩაღი მუშაკიც.

დამპირდა. ხუთას კაკალს დავრგავო.

უნდა წავიდე, ვნახო.

ძირს დაცემული კაკლები

ერთ მ ზ ი ა ნ დღეს ჩემთან ღვანლმოსილი პროფესორი მოვიდა და მითხრა:

— ბულაჩაურში 200 კაკლის ხე მოუგლეჯიათ!

— ??

— დაუბეს ტრაქტორები და უზარმაზარი კაკლის ხეები ძირს დასცეს!

წავედით. მართლაც, ძირძირ დაუციათ კაკლები. ზოგიერთი მორი, თვალისათვის რომ მოეფარებინათ, ხეებზე გადაეგდოთ.

— ვინ ჰქნა ეს, ვინ?!

— საბჭოთა მეურნეობის დირექტორმაო.

მრავალი სურათი გადავიღე. გავუგზავნე ხელმძღვანელობას, გამოიყო კომისია. ავედით მეურნეობაში, დირექცია და რაიონის ხელმძღვანელობაც იქვე. თავი გაფფორილი მამლებივით უჭირავთ.

— ვინ ბანი უნდა გაკაშენოთ ... მიტომ დავგლეჯ...!

ნიკო კეცხოველი

„მთასა და ბარში ბოხეტიალის რვეულიდან“

— „განა კაკალზე უკეთესს რას გაპშენებთ?!

— „ზადანიე“ გვაქვს, ვინახი გააშენეთო!

— ის ხომ არ დაუვალებიათ, ერთი გაიფუჭეთ და მეორე გააკეთეთო?!

— თქვენ რატომ ეგრე ირონიულად ლაპარაკობთ, იმისი არ იყოს, უჩვეულოდ ყოფილხართ, სურათები გადაგიღიეთ! — მეუბნება რაიონის მუშაკი.

გამეღიმა მხოლოდ.

ეს საკითხი მინისტრთა საბჭომ განიხილა, დამნაშავეს სათანადო სასჯელი დაადო და ფაკალა, მეურნეობას ათასი ძირი კაკალი დაუნგეო.

დარგეს მეურნეობის ირგვლივ.

ყოველ ზაფხულს ვავდიარ. კაკლები ბ ირზდებიან. ორასი წლის შემდეგ, როდესაც ესენი იმ დაუუპული კაკლების ოდენები გახდებიან, არ ვიცი, ენახავ თუ არა.

ძალიან კი მინდა, სხვამ მაინც ნახოს!

ამისათვის გაისარჯე?!

მცხეთის გ ზ ა ს რომ ახალი გზა ეყრება, ნარეკვავის მდინარესთან, იქ გზის გაფართოება დაიწყეს. გზის პირას 20-25 წლის ფიჭვები იდგა. არც აცივს, არც აციველს და ამ ფიჭვების ჭრა დაიწყეს! მალე ძირს დასცეს თხუთმეტი მშენიერი ხვ.

ავედი მცხეთის აღმასკომში, ენახე თავმჯდომარე. გამეხარდა, ყოფილი ჩემი სტუდენტი აღმოჩნდა. ავუხსენი.

— მაგისათვის გაისარჯეთ? ოციოდე ხისთვის უნდა შეწუხდეთ ამოდენა კაცი?!

არ ვიცი, რას გულისხმობდა „ამოდენაში“, ჩემს ტანს, თუ სხვა რამეს. ცეცხლი მომედო და ესეა ვუთხარი:

— შხამად შეგერგოს ის ხუთიანი, რომელიც სტუდენტობის დროს დაგიწერე-მეთქი! — და წამოვდექი.

დანარჩენი ფიჭვები გადარჩნენ, მხოლოდ სხვა გზით.

რას უყურებს მთავრობაი?!

სოფელ ი გ ო ე თ ი ს თავზე შესანიშნავი მუხა იდგა — ძველისძველი. ბრავალ წელთა მომსწრე. ტოტებგაშლილი, ლამაზვარჯიანი. როდესაც წითელ საყდარს მივუახლოვდებოდი, უეჭველად გაკვლა გავეხდებოდი, „დგახარ თუ არა?“ გულში ვკითხავდი. „ვარ, აქა ვარო!“ მიპასუხებდა.

ერთხელ სახტად დავრჩი. მუხა ვეღარ დავინახე, ძირს ეგდო გულგამომწვარი.

ჩამოვედი სოფელში. მაღაზიის წინ ხალხი იდგა. საუბრობდნენ, ყაყანებდნენ.

— რას ერჩოდით მუხას, რაზე გამოუწვეთ გული?!

უცბად ყველა გაჩუმდა.

— შენ სადაური ხარ?

— მე ზემოქართლელი ვარ.

— აბა, ერი ი უყურე, უცხო კაცს გული შესტკივა დ...

— მაშა, მაშა, — ჩაერია უცბად მეორე. — რას უყურებს მთავრობაი?

— შენ შენი მუხისთვის ვერ მოგიგ ლია დ...

ხმა აღარავინ ამოიღო.

გაზაფხულზე იქ თხუთმეტი მუხა დარგეს; ღობე შემოავლეს. ახლაც ვკითხავ: ხოლმე იმ მუხებს და კვლავ ვკითხავ:

— იზრდებიან თუ არა, მუხებო? იზრდებიან.

შენ რომ ფლვდელი იყო, ადვილად არ მაზიარებდი!

ბიწვენთელი შ ა ქ რ ო მ. მწერდა. ხევზე ხიდს აკეთებდნენ. იმის მაგივრად, რომ ცოტა ქვევით დაენიათ, ვენახის ბოლოზე კაკლები დამიგლეჯეს დ...“

წერილი მაგიდაზე დავდე, ქაღალდები გადაეფარა და თვალს მიეფარა ორიოდე თვის შემდეგ ვნახე. გულის ზამთარი იდგა. მაინც წავედი. შესანიშნავი ყოფილა ზამთარში საგურამო, ნინამძღვრიანთკარი, ნავარდანთკარი...

ნასიამოვნები მივადექი ბიწმენთს. ხევის პირას მოგლეჯილი კაკლები ყრია. ბავშვები ციგაობენ. ვიკითხე ბაქრო. მითხრეს, აგე, იქ, მაღლა ცხოვრობსო...

ვთხოვე ეთქვათ, ქალაქელი კაცი გკითხულობს-თქო.

მალე ჩამოვიდა შუახნის კაცი.

— აი, ის კაცი ვარ, შენ რომ წერილი მისწერე.

— შენ რომ მღვდელი ყოფილიყავ, ბალე არ მაზიარებდი! — კოპებშეკრული შემეპასუხა.

მალე შევრიგდით. მან მითხრა თავისი. მართლაც, საკმარისი იყო ხიდის ცოტა ქვევით დაწევა და კაკლები გადარჩებოდნენ.

გადავიღე სურათები.

ბუნების დაცვის კომიტეტმა ითავა საქმის დაბოლოება.

ბოლოს ბაქრომ განაცხადა, პრეტენზიები არა მაქვსო. ვენახის ბოლო გზის ოსტატებს რკინის ბადით კარგად შეეღობათ.

ილუსტრაციები ჯემალ ლოლუასი

ალიბეგელი ბ ო ტ ა ნ ი კ ი ს ნ ა ბ ა ღ ნ ი ა ზ ა დენილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. აქ დაიტაკცეს 90 ათასი მანეთის 125 ტონა შაქარი.

ნახ. გ. ლოვიკისა

მ ე ფ უ (ლ) ტ კ რ ე ე ბ ი

ბოლნისის რ ა ი ო ნ ი ს სოფელ **რაჭისუბნის** კლუბი მოთავსებულია ყოფილ სამლოცველში, სადაც სულ 10 სკამია.

— კლუბის გამგეობა თქვა, კარული კვერცხებზე დამჯდარა და კინო ალარ იქნებაო!..

ნახ. ჯ. ლოლუასი

გალადა ორპირ პორფირზე

უცნაური ვინმეა
დირექტორი პორფირი:
მელიის ანფასი აქვს,
ანგელოზის — პროფილი.
ტრიბუნაზე რომ ავა,
სიტყვას ამბობს მჭექარეს —
მისი მწარე სიტყვები
ზარებივით რეკავენ:
„მეგობრებო, ყველანი
დავეხმაროთ ერთმანეთს,
რომ არ იყოს ჩვენს გვერდით
ყალბისმქნელი, მექრთამე!
სინამდვილედ, სიცხადედ
რომ ვაქციოთ მიზანი, —
გულში დავკრათ ისარი, —
ჩვენი მტერი ვინც არი!..“
ჩაიმტვრიეს მუშტებით,
ლამის, გულისფიცარი.
თავს უქნევენ პორფირის,
ტაშს უკრავენ პორფირის:

„გმირი არის ნამდვილი
პორფირი-ოქროპირი!“
მაგრამ ყველამ არ იცის
საქმე დასამალავი, —

სამსახურში უქრთამოდ,
რომ არ იღებს არავის!
რომ ყოველდღე იჯიბავს
ასებსა და ათასებს,

მხოლოდ თავის მსგავსებს და
თავის ჯილაგს აფასებს!
არ გეგონოთ ქვაწვია! —
პურ-მარლის კაცია!

ოქროებად აქცია
ბევრი კომბინაცია!

ორი „ვოლგა“ — გარაჟში,
ქოთნით — ოქრო მარანში,
შტატში — ორი ცოლი და
ერთი კიდევ — მარაგში!..

●

დრო გავიდა... პორფირი,
ცბიერი და ორპირი,
სასჯელს იხდის დასჯილი,
გამხდარი, გაოფლილი!..

●

არა ფუჭი ლაქლაქით, —
კაცი საქმით მოწმდება!
შევარცხვინოთ, ვინც არცხვენს
სიტყვის პატიოსნებას!
ფონს ვერ გავა, ყველანი
ფხიზლად თუკი ვიქნებით!
თავს ნუ ვაბრიყვებინებთ,
ლამაზ-ლამაზ სიტყვებით!

●

თუკი სადმე შეხვდებით
ამისთანა პორფირებს,
ამხილეთ და სამხილი
მთელ ქვეყანას მოჰფინეთ!

ვახტანგ ხარჩილავა

— მსახიობი გახლავართ! თქვენს თეატრში მსურს მუშაობა!

— რა ვქნა, გენაცვალე, ჩვენი თეატრი ერთი აქტიორის თეატრია და ის ერთი უკვე გვყავს!

რჩევა დარიგებანი—მამაკაცებს

● **გიყვარდეთ** სიდედრი! — იგი ცოლთან გაყრის ყველაზე რეალური საშუალებაა!

● **პატივი** ეცით სასიმამროს! — მან, ქალთან ერთად, შეიძლება „ჟიგულიც“ გამოგატანოთ!

● **ნუ** ენდობით უცნობ ქალს! — იგი, შეიძლება, სრულიად შემთხვევით, თქვენი მეუღლე გახდეს!

● **პირველ** ცოლს მთლიანად ნუ აჩუქებთ გულს! — რა იცით, იქნებ მეორესთან დაგჭირდეთ!

● **ცოლს** ჩააბარეთ ხელფასი, რადგან იგი პირდაპირპროპორციულია მასთან ურთიერთობისა!

● **ზოგჯერ** ქორწილის გადახდას ალიმენტის გადახდა გერჩივნოთ!

● **თუ** სიდედრი გწყევლით, გიხაროდეთ! — დედის წყევლა ლოცვაა შვილისთვის!

● **იყავით** ჯენტლმენები! — ცოლს საჩუქრებს მარტო დაბადების დღესა და რვა მარტს, ნუ უყიდით!

● **თუ** ცოლმა გაგარტყათ, ხელი არ შეუბრუნოთ! — გახსოვდეთ, რომ ქალი სუსტი არსებაა!

● **თუ** ცოლს თქვენი ნება-სურვილით ირთავთ, ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ!

ვანო ცინცაძე

— პიესა მოგიტანეთ სპეციალურად თქვენი თეატრისათვის!

— რატომ გაისარჯეთ, გეთაყვა?! ჩვენი თეატრისათვის პიესებს ჩვენივე ვწერთ!

ლოდინ-მოლოდინი

ტელეფონით დარეკვა სიზმრად უქცია **იასონ რეკვავას, ცხაკაიაში,** — **კიკვიძის ქუჩაზე** მცხოვრებს, სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდს.

ასეთი სიზმარი ბევრ უტელეფონო კაცს ესიზმრება და ეს არც არაკის უკვირს — ტელეფონის აპარატი თუ არ ეიდგას, ვინ ეშმაკი დაგირეკავს?!

არ იფიქროთ, იასონ რეკვავას რეკვა ისე, თავისი კაპრიზის ვამო გახდომოდეს სანატრელი. მის სახლში, მაგიდაზე, აგერ ერთი წელიწადია, დგას აპარატი, რომელიც საიმედო არხებით არის შეერთებული ქსელთან. და რაკი აპარატი დგას, მას სხვა რა უნდა ჰოსთხოვო რეკვის გარდა? რეკვავაც რეკვას მოითხოვს და სრულიად სამართლიანად (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ექვსი თვის შესატანი წინასწარ აქვს გადახდილი!)

უთვლია თურმე რეკვავას, რამდენჯერ მიუმართავს **ცხაკაიას კავშირგაბმულობის კვანძის უფროსისათვის**— ხმა ამოაღებინეთ ჩემს ტელეფონსო. ოთხამდე თუ ხუთამდე უთვლია და მერე ანგარიში არევია.

თუმცა არ იფიქროთ, კვანძში მთლად ისეთი გულქვა კაცები ისხდნენ, რომ უარით ან უხეშად გამოისტუმრონ მომჩივანი. არა, პირიქით, ეფერებიან და პირდებიან — შინ როგორც კი მიხვალ, ტელეფონის წკრიალს გაიგონებო.

ზის ახლა პენსიონერი **იასონ რეკვავა** და ელოდება დარეკვას.

ნიანგს იმედი აქვს, რომ **ცხაკაიას კავშირგაბმულობის მესვეურები**, ბოლოს და ბოლოს, დაურეკავენ **იასონ რეკვავას,** შენი ტელეფონი რეკაკსო. ალბათ, დამირეკავენ მეც, მეტს ნუღა შეწუხდები, ბატონო, ნიანგო, **რეკვავას** ტელეფონის აპარატი დადგმიდან ერთი წლისთავზე ალაპარაკდაო.

იდგა ბერბუკს ფუნდუკი!..

(უდღეურის სადღეგრძელო)

ვითა მ ო მ წ ყ ი ნ დ ე ს ქება შენი, თვალისა და მანქანის დამყენებელო გამვლელ-გამომვლელისაო, ვიღაცის ბუკის დაკვრაზე სოფელ ბერბუკს ჩამოსულო ქალაქ გორიდანაო, ჩამოსულო და თავჩაქინდრულად მდგარო ხაშურისაკენ მიმავალ ახალ გზისპირსაო, თავჩაკიდულო სირცხვილითაო, გამგებმა გაიგოს, ახალაშენებულმა რად დაირცხვინე, რის გამოისობითაო. ჰოდა, გაჟეჟილს გატეხილი სჯობია და შენც უნდა ამოთქვა გულის ვარამიო — ჟანგიანი გქონდა თავკიდური და იმადაც იდექ „ჩაკიდულიო".

შე რესტორნად მონათლულო, შენაო, მონათლულო და „ჩაკიდულა" შერქმეულოო. 1978 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში დაბადებულოო, მერე უდროოდ 1979 წლის 10 აპრილს თავწაცლილოო (შენ ჩაგისკდეს ეგ წაცლილი თავიო!) და ამის შემდეგ უთავოდ ჩაკიდულოო, მაინც რაღა გაქვს ჩასაკიდი, ბეჩავ „ჩაკიდულო", თუ თავი აღარ გაბიაო, და მაინც ჩაგიკიდია, თუ რამ ჩასაკიდი შემოგრჩენიაო, ჩაგიქინდრია ჩატეხილი ვიტრინაცაო!

ამბობენ, არ გივარგოდა სიფათი — ესთეტიკაო, გიფრთხოდა მიხო, ესტა, ტეტიკაო. ვინც გაგებდა, რად გაგებდა, რისთვის ღელავდაო, შენი ძველი პავილიონი ისედაც ივარგებდა საფრთხობელადაო!

დგახარ უდახლ-უსკამ-უბუფეტოდაო! ახ, ნეტავ უდროოდ კარი არ დაგკეტოდაო, ერთხელ მაინც ახლოს მენახეო, ერთი შენს ჭერქვეშაც მემღერა ჩემი „თხა და ვენახიო". შე მართლა შასყიდულ- „ჩაკიდულო" და მერე ფეხებზე დაკიდულოო!

ფასადად გქონდა ჟანგიანი პავილიონიო. ვის დაუთმობდი „ნა მილიონო", მაგრამ წაგაცალეს და მთაში წაიღეს მწყემსებთანაო, იქა დგას, როგორც კიოსკიო. მუშაობს კვირა-პარასკეობითაო;

შენ კიდევ დგახარ უთავოდო, უმოგებოდ და უთავნოდო, უთავოდ „ჩაკიდულოო". შე გორის რაიკოოპკავშირისავ, შენაო, მაინც რამ ჩაგიგდო ენაო! (თუმცა ენა ხომ თავს გაჰყვებოდაო?!)

შენ 30, 50 ათასი მანეთიდან დაწყებულოო და მერე ფერჟანგ-ბედშავ-მუშტარგაწყვეტილოო!

შე უპროექტ - უარქიტექტორ-უგემოვნოდ აქოხილოო, კოპიკ-კოპიკ ნაგროვები კოოპკავშირის ფულითაო, ნათუმან-ნამანეთარ-ნაკოპიკარო, ახლა კი ნანგრევ-ნაკოპიჭკნაროო!

სულ ცოტა ხანს იყავ რესტორან-ფუნდუკიო, არ გღირსებია დოლი და დუდუკიო, ვერ დააყენე ახალ გზისპირას ხაშლამის ორთქლიო, ვერ ჩააცივე მაცივარში „ნაბელღავის" ბოთლიო, ვერ ააშრიალე ოფიციანტის ხალათიო, ვერ გააგრძელე პურის მჭამელთა ადათიო და ვერც ატკაცუნე მანათიო!

შე უდღეურო შენაო, რატომ მაშინვე არა ჰკითხე საკუთარ მიკიტანსაო: „სახელდახელოდ შობილსა დღეებს ვინ მიქვითამსაო?" რატომ არ ჰკითხე იმ სამინესაო, ვინ გიციებდა თათარიახნის წვენსაო?

ახლა იდექ და ყლაპე ბუზებიო, თუმცა მათაც დაივიწყეს შენკენ გზებიო.

გაინძერ, ჟამი გეძახისო, სანამ სულ არ შეუჭამიხარ ჟანგსაო! მიდექ-მოდექი და პატრონსაც მიადექიო, ვინმეს ვინმესთვის გული მოალბობიეო, ეგების გაგხსნან, როგორც სალობიეო!

შე უდღეურო, შენაო, შენი დღეგრძელობისა იყოსო, მტერი შენი პავილიონივით დაგიმხოსო, ყავლგასულ პავილიონივითაო, მოყვარე გაგიძლიეროსო! იქნებ ლობიოს მჭადიც მოაყოლოსო! ეგების გატყდეს ნავსიო. კიდევ გეღირსოს ომბალო-პრასიო!

ოღონდ გავიგო, „ჩაკიდულა" ისევ ხარობსო, ვიტყვი, ღმერთმა ყველაფერი მშვიდობაში მოახმაროსო!

მე ჩემდათავად არ დაგრჩები ვალშიო — შენს ჭერქვეშ ვიმღერ „თხას და ვენახს" ახლო მომავალშიო!

პავილიონის ტიპის რესტორან „ჩაკიდულის" ნანგრევთან ნიანგის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო მოისმინეს და ჩაიწერეს.

მარიკა გველესიანმა და ელგუჯა მერაბიშვილმა.

— ეს არის, კაცო, სოფელში ახალგაზრდობა აღარ დარჩაო?!

ნახ. ა. ერაძისა

ნახ. მ. აზაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურში დაგვიანებისათვის პატიება ითხოვა და...

შემდეგ მთელი დღე ინანიებდა

№ 61 23.IX

იცით თუ არა თქვენ...

რომ ს ა ჩ ხ ე რ ი ს რაიონის სოფელ ჩიხას მცხოვრებნი ჩიხში მოექცნენ: გაზაფხულის წვიმების დროს მთებიდან მოვარდნილმა წყალმა ის ხიდი წაიღო, რომლითაც რაიონის ცენტრს უკავშირდებოდნენ. ჩიხში მოქცეული ჩიხელები ხიდის აღდგენასაც ითხოვენ, გზის შეკეთებასაც და ავტობუსის დანიშვნასაც?

რომ გ უ რ ჯ ა ა ნ ი ს რაიონის სოფელ ზეგაანის ახალგაზრდობა „ნიანგს" სთხოვს დახმარებას კინოს შენობის აგებაში?

რომ ქ ა რ ე ლ ი დ ა ნ რედაქციას ეკითხებიან, როდის დამთავრდება **აგარა — აბისის** გზის 9 კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტის დაგება, თუ 5 წლის განმავლობაში ამ გზის მხოლოდ ორი მესამედია გაკეთებული? (მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ 5 წლის წინ გაკეთბული გზა ისევ შესაკეთებელია!)

რომ გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ს რაიონის სოფელ ლეციცხვაიეში არის აგურის გამოსაწვავი ქურა — კუსტარული ქარხანა, რომელსაც ჰქონდა, მაღალი მილი და ბოლს ცაში უშვებდა. დროთა განმავლობაში გაცვდა მილი, ბოლი პირდაპირ სახლებში შედის, აგურის ქარხანაში კი მილის გასაკეთებლად ვერც თუნუქი უშოვიათ და ვერც აგური?

ჩვენი სტუმარია „პავლიჰა“

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „პავლიჰა“ იუგოსლავიაში, თბილისს დაძმობილებულ ქალაქ ლუბლიანაში გამოდის და ფრიად პოპულარულია მკითხველთა შორის. გთავაზობთ რამდენიმე კარიკატურასა და ანეკდოტს „პავლიჰას“ ერთ-ერთი ნომრიდან.



თოჯინები იცინიან...

ანეკდოტები

●

ქალი რეკავს იარაღის მაღაზიაში:

— გუშინ რომ თქვენთან რევოლვერი ვიყიდე, უნდა დავაბრუნო: ეს-ეს არის, დამირეკეს, ჩემი მეუღლე ავარიაში მოყოლილა და გარდაცვლილა.

●

— თავი საიდ მქონდა, პარიზში წაყვანას რომ გპირდებოდი?!

— ჩემს მკერდზე, ძვირფასო!..

●

თანამშრომელი: შეგიძლიათ, მშვიდად წაბრძანდეთ შვებულებაში! — უთქვენობას აქაურობას არ დავატყობთ!

დირექტორი: მაგისი მეშინია სწორედ!

●

სტუმარი (მასპინძელს): ქიშკარზე რომ წაგიწერიათ, ეზოში ავი ძაღლიაო, თქვენი შვილები დაგავიწყდათ?!.



ცხრაკლიტული



მე — წითელქუდა, ბებია, მგელი და ქილისპირული

76187

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი
ნოდარ ბართაია
ბორის გურგულია
ნოდარ დუმბაძე
რევაზ თვარაძე
ჯემალ ლოლუა
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი)
ბეჟან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე სამსონია
გიგლა ფირცხალავა
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წივწივაძე
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)
ნაფი ჯუსოითი

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად
5/VIII 80 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
5/IX 80 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 1,7

●

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 2210. უე 00697.
ტირაჟი 150.950
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-62-04, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

●

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.